# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
## ბრძანება N01-04/114

ქ. ბათუმი

14 ივნისი, 2019 წ.

**2019 წლის ივნისში ჩატარებული ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N7, N8, N9 გადაწყვეტილებების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 20 მაისის №01-02/73 *ბრძანების,* აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის რაულ გოცირიძის 2019 წლის 13 ივნისის №746659, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის გურამ მემარნის 2019 წლის 13 ივნისის №750349 და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის როინ მალაყმაძის 2019 წლის 14 ივნისის №755867 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 20 მაისის №01-02/73 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული და ჩატარებული კონკურსის შედეგად სამეცნიერო საბჭოების მიერ შერჩეული კანდიდატების ბსუ-ს შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დირექტორების მიერ დამტკიცების საფუძველზე დაინიშნონ პირები ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების - განყოფილებების უფროსების თანამდებობებზე **დანართი 1**-ის შესაბამისად.
2. გამარჯვებულ კონკურსანტებთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები 2019 წლის 14 ივნისიდან ხუთი წლის ვადით (2024 წლის 12 ივნისამდე).
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კონკურსში გამარჯვებულ პირებს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 14 ივნისის
N 01-04/114 ბრძანების
**დანართი 1.**

## აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი

| N | განყოფილება | საშტატო ერთეულის დასახელება | გამარჯვებული კონკურსანტი |
|---|---|---|---|
| 1 | *აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილება* | განყოფილების უფროსი | **ზურაბ მიქელაძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით) |
| 2 | მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილება | განყოფილების უფროსი | **ნინო მხეიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით) |
| 3 | *ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილება* | განყოფილების უფროსი | **ალეკო კალანდია** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით) |

## ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

| N | განყოფილება | საშტატო ერთეულის დასახელება | გამარჯვებული კონკურსანტი |
|---|---|---|---|
| 1 | *ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება* | განყოფილების უფროსი | **ელზა ფუტკარაძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით) |
| 2 | ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება | განყოფილების უფროსი | **თამილა ლომთათიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით) |
| 3 | *ისტორიისა და არქეოლოგიის* განყოფილება | განყოფილების უფროსი | **ოლეგ ჯიბაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით) |

# ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი

| N | განყოფილება | საშტატო ერთეულის დასახელება | გამარჯვებული კონკურსანტი |
|---|---|---|---|
| 1 | *ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილება* | განყოფილების უფროსი | **ავთანდილ მესხიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით) |
| 2 | გამძლეობის გენეტიკის განყოფილება | განყოფილების უფროსი | **ზოია სიხარულიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით) |
| 3 | *მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილება* | განყოფილების უფროსი | **გალინა მეფარიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის მონაცემებით) |
| 4 | *კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილება* | განყოფილების უფროსი | **იზოლდა მაჭუტაძე** (უვადო მთავარი მეცნიერი თანამშრომლის მონაცემებით) |